1927 წ. ნოემბერი.

№ 23.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante

Edition mensuelle

1927—NOVEMBRE № 23

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ფ ო ო რ გ ა ნ ო.

დაუჯერებელი სიბეცე.

შვარცბარდის გასამართლებას მისმა დამცველმა ტორესმა «ისტორიული» უწოდა; და ეს არცაა გასაკვირი, თუ საბჭოთა პარიზელ ოფიციოზ «ჰუმანიტეს» დავუჯერებთ, რომელიც აცხადებს—შვარცბარდის გასამართლება «ყველა ქვეყნის პროლეტარების აღტაცებას გამოიწვევესო». ხუმრობა როდია, ერთი თვეც ძლივსღა გავიდა მას აქეთ, რაც საბჭოთა მთავრობამ უზომო დამცირება განიცადა მისი ელჩის აქედან გაბრძანებით, და ეს მარტო იმისთვის, რომ საფრანგეთს არ გაეწყვიტა მასთან დიპლომატიური დამოკიდებულება. ადვილათ წარმოსადგენია, თუ რა ხიფათში ჩავარდებოდა სწორეთ ეგ დამოკიდებულება, სენის ნაფიც მსაჯულებს რომ პეტლიურას მკვლელში გეპეუს აგენტი აღმოეჩინათ! აქედან დიდი აღტაცებაც, არა «პროლეტარებისა», არამედ მოსკოვის ყურმოჭრილ პრესისა შინ და გარეთ.

შვარცბარდს გაამტყუნებდენ, მისი კავშირი გეპეუსთან ნათელი რომ გამხდარიყო ნაფიც მსაჯულებისთვის. მაგრამ უკანასკნელნი ხშირათ პოლიტიკის გარეთ დგანან და ამიტომ ვერ მოთხოვთ მათ პოლიტიკურ მოვლენათა ჯეროვან დაფასებას, მით უფრო, როცა ესენი უცხოელთ ეხებიან. თორემ მარტო ის ფაქტი, რომ მკვლელს იცავდა ტორესი, მოსკოვის ნაფიცი ვექილი, უკვე ცხად ჰყოფდა, რომ გეპეუ «რაღაც შუაშია» ამ საქმეში, როგორც იტყვიან. ამისათვის ბევრი სხვა უფრო დამაჯერებელი ფაქტებიც იყო მოყვანილი, მაგრამ ჩვენ ვერ შევჩერდებით მათზე, გარდა ერთისა, რომელიც უმთავრესია, ჩვენის აზრით.

ეს იყო ტორესის დაუღალავი ცდა, ათი დღის პროცესის გასწვრივ, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის იდეა «პოგრომებში» ჩაეღრჩო! აი, რა ჰქონდა მას მინდობილი მოსკოვისგან და რა ჰყოფდა ცხადს ყველა დაკვირვებულ და საქმის მცოდნე პირთათვის გეპეუს კავშირს შარშან მაისს ჩადენილ მკვლელობასთან. ჯერ ის დამახასიათებელი სიტყვაც, რომელიც ბრალდებულს წამოცდა უკრაინის სახელმწიფო ღერბის შესაბღალავათ—«ეშმაკეულისაო», უკვე აშკარათ ამჟღავნებდა მისი დანაშაულის ნამდვილ მოტივს.

ცნობილია, საბჭოთა მთავრობას მოსვენებას არ აძლევს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელათ, უკრაინის ეროვნულ მოძრაობის შეუჩერებელი ზრდა. დამოუკიდებლობის იდეა ისე ღრმათ იდგამს უკრაინის ხალხში ფესვებს, რომ შორს არაა ის დრო, როცა მისი განხორციელებაც უნდა მოხდეს. ამ კითხვის ირგვლივ დიდი ჯახია ჯერ ისევ უკრაინის კომპარტიაში და არ მოიპოება თვით მართველ ჯგუფში ისეთი ვინმე, რომელსაც გამბედაობა შესწევდეს უარყოს ანტაგონიზმი «ჩაგრულ და მპყრობელ» ერთა შორის. გვიანლაა დახევა! მოსკოვი გაება მისგანვე დაგებულ მახეში: ლოზუნგი «უკრაინიზაცია», რომელიც მან გადაისროლა დემაგოგიური მიზნით, ჩინებულათ გამოიყენეს უკრაინელებმა და ეხლა უკვე, როგორც ამის ნაყოფი, მათი ეროვნული მოძრაობა დუღს და გადადის.

ხაზგასმით აღსანიშნავია ამასთანავე «ებრაელების მობილიზაცია»—ფრაზა, რომელიც არა ერთხელ იყო ხმარებული პროცესზედ. ჩვენ ვთვლით გასაგებათ, თუმცა არას გზით არ ვამართლებთ ებრაელების ასეთ გამოქომაგებას მათი თანამორწმუნე ფანატიკოსისა, რომელიც უბრალო იარაღი იყო სხვის ხელში; მაგრამ, როცა მათ კვალს გაჰყვა რუსი ანტიბოლშევიკური ემიგრანტებიც და მათი პრესა, განურჩევლათ მიმართულებისა, ჩვენ ეს არამც თუ არ გვესმის და არ ვამართლებთ, არამედ სასტიკათ ვგმობთ.

მართლაც და რა იყო ნამდვილი კვანძი მთელი პროცესისა? არა ის, რა თქმა უნდა, რასაც წამდაუწუმ გაბღაოდა ტორესი და იმეორებდენ თვალცრემლიანი მისი მოწმენი—ებრაელები: რომ უკრაინაში მოხდა საშინელი პოგრომები, რომელმაც იმსხვერპლა ათასები უდანაშაულო ხალხისა,—და განა იყო წარმოსადგენი, რომ ამ ველურობას უზომო ზიზღი არ გამოეწვია ყოველ პატიოსან ადამიანში, და ისიც ევროპის შუაგულ? არა, აქ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სიმძიმის ცენტრი,—ტორესს და მის ამყოლთ სურდათ დაემტკიცებიათ, რომ პოგრომების სათავე და მიზეზი უკრაინის დამოუკიდებლობა იყო! და ვინაიდან შვარცბარდმა მოჰკლა ამ დამოუკიდებლობის სიმბოლო—პეტლიურა, ამით მან შური იძია დამნაშავეზეო.

დაუჯერებელი სიბეცე! ვითომ რუსებმაც და ებრაელებმაც ზედმიწევნით არ იცოდენ, რომ, გარდა ცარიზმის ბნელ მემკვიდრეობისა, პოგრომების უშუალო მიზეზი ის ჯოჯოხეთური ქაოსი იყო, რომელმაც ყოფილი იმპერია მოიცო ბოლშევიკურ გადატრიალების უმალ. ვითომ დაავიწყდათ, ვინ მოახდინა ფიზიკურათ ეს გადატრიალება და ვისი წინამძღოლობით. ფრონტიდან დაძრული მრავალი მილიონი ჯარი, გახრწნილი, გაღიზიანებული, თავიდან ფეხამდე შეიარაღებული—აი ვინ დაეპატრონა ქვეყანას ბოლშევიკებთან ერთათ, ვინ ჰქმნიდა ქაოს.

და რა იყო, თუ არა უსაშინლესი პოგრომი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველა ის, რაც განვლეს როგორც რუსის, ისე არარუს ერებმა სამხედრო კომუნიზმის დროს? განა დღესაც არ მძვინვარებს იგი სხვა ფორმითა და სხვა სახით? ერთი მოწმე. უკრაინის ყოფილი საგარეო მინისტრი შუღგინი ამბობდა, რომ მოხდა არა მარტო ებრაელთა, არამედ მთელი უკრაინის პოგრომი და მან არა ათასები, მილიონები იმსხვერპლაო.

პროცესზედ არ მოუყვანიათ არც ერთი ფაქტი, ფაქტის ლანდიც კი, დამამტკიცებელი იმისა, რომ პეტლიურას და მის მთავრობას წილი სდებოდათ ამ საშინელებაში. პირიქით, აუარებელი პროკლამაციები და ბრძანებები იყო წაკითხული, მათ მიერ გამოქვეყნებული, სწორეთ პოგრომების წინააღმდეგ.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ უკრაინის ნორჩი რესპუბლიკის ხელისუფლება, მიუხედავათ კეთილი სურვილებისა, უძლური იყო ძირშივე ჩაეკლა პოგრომები. გარდა მცირერიცხოვან გაწრთვნილ ჯარისა, დანარჩენი წარმოადგენდა უდისციპლინო შეიარაღებულ ბრბოს, რომელსაც მეთაურობდენ ხშირათ საეჭვო პირები და არავის ემორჩილებოდენ. ბრბოს არ გააჩნდა მეტ შემთხვევაში საკუთარი სამნეოც, ის თვითონ აგროვებდა ხალხში რაც დასჭირდებოდა და აუწერელ ძალმომრეობას ეწეოდა. ამას ზედ დაურთეთ ის გარემოებაც, რომ პეტლიურას მთავრობას ერთი დღეც არ რგებია ნორმალურ მუშაობისთვის, ის ცეცხლის ალით იყო გარსშემორტყმული. უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლები ბოლშევიკებთან თუ დენიკინლებთან, ხელიდან ხელში გადადიოდა სოფლები. ქალაქები, მთელი პროვინციები... და პოგრომებიც სწორეთ ამ შეტევა-დახევის დროს ხდებოდა.

მერე ვინ არ იცის, რამდენათ საბედისწეროა ომის დროს ბოროტი განზრახვით გავრცელებული ხმები, ვითომ ჯარის ზურგს უკან ხალხის ერთი ნაწილი ქვეყანას ღალატობდეს? ბოლშევიკები სწორეთ ამ დემონიურ საშუალებას მიმართავდენ უკრაინაში: ჯერ იყო და მათი ჯარები თვითონ ახდენდენ პოგრომებს—ამას ეხლა არავინ უარყოფს; შემდეგ, როცა დასჭირდებოდათ, კეხს მოაბრუნებდენ და მთელს ებრაელობას მოსკოვის ერთგულ ყმებად და, აშასადამე, უკრაინის ორგულ მოქალაქეებად აცხადებდენ ისინი! საუბედუროთ, ზოგ დაბა-ქალაქებში ებრაელთა ძალიან მცირე ნაწილს ლენინში და განსაკუთრებით ტროცკში ბიბლიური მესია ელანდებოდა და აქტიურათ გამოდიოდენ მათ სასარგებლოზე. ეს გარემოება კიდევ უფრო აადვილებდა შეიარაღებულ ბრბოთა და მათ ზოგ ბოროტ მეთაურთა მძვინვარებას ებრაელთა წინააღმდეგ.

როცა ერთ მოწმეს, ებრაელთა პატივცემულ მოღვაწეს სლიოზბერგს უთხრეს სასამართლოში—აკი დენიკინის ჯარებმაც უსაზიზღრესი პოგრომები მოახდინეს უკრაინაშიო, მან გაიკვირვა და გულუბრყვილოთ წამოიძახა: რა შედარებაა! დენიკინი მისი ჯარების ტყვე იყო, მაშინ როდესაც პეტლიურა უპოპულიარესი პიროვნება იყო უკრაინაში და ერთი მისი ხელის გაქნევა პოგრომებს შეაჩერებდა! მოხუცი სლიოზბერგი ცდება, რა თქმა უნდა, პოპულარობა კიდევ არ ნიშნავს, სამწუხაროთ, ძლევამოსილობას სტიქიაზე, პოგრომები კი ამ კატეგორიას ეკუთვნის.

ყოველ შემთხვევაში, სრული ჭეშმარიტებაა, რომ პეტლიურა მეტათ პოპულიარი იყო თავის სამშობლოში, ჩუბარები ამას ყოველ შარა-გზაზედ გაიძახოდენ, და აი ნამდვილი მიზეზიც, თუ რატომ გაუგმირა ძას გული გეპეუს მოგზავნილმა შვარცბარდმა.

ნუ თუ ძნელი იყო რუს ემიგრანტებს [illegible] ამის მიხვედრა? ნუ თუ ვერ იგრძნეს თვითონ ებრაელებმაც, [illegible] ასეთ სიბეჯითეს იჩენდა მკვლელის გასამართლებლათ, რომ ისინი დათვურ სამსახურს უწევდენ მრავალ მილიონ ებრაელობას უკრაინაში? ჩვენ არ გვინდა საშინელ შედეგის უბრალო წარმოდგენაც, იმდენათ გულშემზარავია იგი, უკრაინის ხალხმა თუ გინდ ერთი წუთით რომ დაუშვას, რომ მისი ბელადის მკვლელობაში დამნაშავეა არა შვარცბარდი და მის უკან მდგომი გეპეუ, არამედ ებრაელთა მთელი ერი!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეგობარი უკრაინის ერი არ აყვება წუთიერ გულისთქმას და მისი ხელმძღვანელნი არ დაზოგვენ არავითარ ცდას თავიდან ააცილონ მას 1918 და 1919 წ.წ. საშინელი დღეების განმეორება. მათ არ ავიწყდებათ, რა თქმა უნდა, რომ მტერი, მოახლოებულ დასასრულის წინ, ბეჯითათ შეეცდება რაც შეიძლება მეტი შხამი ჩააწვეთოს უკრაინის ხალხს ყურში ებრაელობის წინააღმდეგ, რომელიც, ერთათ აღებული, ლოიალურია უკრაინის მიმართ.

რაც შეეხება შვარცბარდის გასამართლებას, მოსკოვმა აქაც წააგო პოლიტიკურათ! მართლაც, ათი დღის განმავლობაში გაზეთები, მავთულიანი და უმავთულო ტელეგრაფები განუწყვეტლივ აცნობდენ განათლებულ ქვეყნიერებას უკრაინის წარსულს, მის მწარე აწმყოს და გამარჯვების იმედებს მომავალში. ეხლა ყველამ იცის, პოლიტიკაში გამოუცდელმაც, რომ დღევანდელ სოვდეპიაში უკრაინელთ, რუსების შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავთ რაოდენობით და ტერიტორიით, რომ უკრაინა დიდი სახელმწიფოა და მისი ხმა საერთაშორისო კონცერტში ამის შესაფერისი იქნება მომავალში, რომ მან შექმნა სულ ახლო წარსულში დემოკრატიული რესპუბლიკა და სხ.

დიდი სირეგვნე იქნებოდა ასეთი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალში ერთი ნამცეცი იჭვის შეტანაც.

***

დით, რომ რუსის სოციალისტები მტრულად არ მოეპყრობოდნენ ჩვენს საკითხს. ხოლო როგორც ვსთქვით, ეს ასე არაა. დღემდის გარკვევით ვერავინ იტყვის, რუსის სოციალისტები გადაჭრით მხარს უჭერენ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც სოციალ. ინტერნაციონალისთვის არის სიმბოლო ჩაგრულ ერთა განთავისუფლების? გვაგონდება კერენსკის სიტყვა განსვენებულ კ. ჩხეიძის დასაფლავებაზე წარმოთქმული: დიდის აღფრთოვანებით შეაქო ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, სავსე გულით ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობასო, მაგრამ... ჯობია ერთად ვიყოთ, ერთს ჭერს ქვეშო. არ ვიცით, არსებობს თუ არა რაიმე ოფიციალური დადგენილება რუსეთის ს.-დ. პარტიისა ჩვენი დამოუკიდებლობისათვის, ხოლო ისე სიტყვიერად თუ წერილობით რუსის სოც.-დემოკრატები აღიარებენ ჩვენს სახელმწიფოებრივობას და თანაგრძნობას გვიცხადებენ. მაგრამ ამასთანავე იმასაც გამოსთქვამენ, რომ მათი მისწრაფებაა: ბოლშევიკურ დესპოტიისაგან განთავისუფლებულ რუსეთში ერების თავისუფალ ფედერაციის დამყარება (აკსელროდი, «ს. ვ.» 160). იმის გამო, რომ საქართველო დაუღალავად განაგრძობს ბრძოლას თავის უფლებების აღსადგენად და მასთან ერთად ირმზმებიან რუსეთში მომწყვდეული სხვა დამონებული ერებიც და აგრეთვე რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის შეწყვეტის გავლენით რუსმა სოც.-დემოკრატებმა მოწოდებით მიმართეს სოც. ინტერნაციონალს: სეპარატისტებს და «შოვინისტებს» რუსეთის დანაწილება უნდათ და გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. თუ მაშასადამე რუსის ს.-დემოკრატიას არ უნდა დღევანდელი «რუსეთის» დანაწილება, სადაც 60 პროცენტზე მეტი არარუსი სცხოვრობს, როგორ უნდა მოხდეს საქართველოს გამოყოფა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა? ცხადია, რუსეთის სოც.-დემოკრატიაში რაღაც ორჭოფობაა, წინააღმდეგობა და ორაზროვნობა...

ასეთივეა მდგომარეობა ს.-რევოლუციონერებში. ჟურნალ «სოც.-რევოლ.» პირველ ნომერში (ოქტომბერი) ვკითხულობთ საქართველოს სუვერენობის შესახებ: «თუ ს. რ. პარტია ერების დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას არ აღიარებს აუცილებელ პრინციპად, არის გარემოებანი, როცა გათიშვა ხდება გარდაუვალი და საუკეთესო გადაჭრაა საკითხის». აქედან უნდა დავასკვნათ, რომ პარტია სცნობს ჩვენს ცალკე არსებობას. მაგრამ ამას წინად პრაგაში დაარსდა «აღმოსავლეთ ევროპის სოციალ. ლიგა», რომელსაც მეთაურობენ რუსის ს. რ. პარტიის ლიდერები (ჩერნოვი და სხ.) და რომელიც მიზნად ისახავს დღეს საბჭოთა ფარგლებში მომწყვდეულ ერების თავისუფალ კავშირის შექმნას (რაღაც ზე სახელმწიფოს). ერთი სიტყვით ესერების პოლიტიკა ასეთია: ჰო, გეთანხმებით დამოუკიდებლობაზე, მაგრამ გირჩევთ, ჩვენთან დარჩეთ, ეს აჯობებსო. მათი შეხედულობის უფრო გამოასაშკარავებლად საჭიროა გავეცნოთ საზოგადოთ პარტიის აზრს ერების საკითხის გამო, რომელიც იგივეა, რაც იყო 20-25 წლის წინად. იგივე «ს. რევ.» სწერს: «ს. რ. პარტია ყოველთვის თანაგრძნობით ეგებებოდა და ეგებება იმპერატორთა რუსეთის დაჩაგრულ ერების აღორძინებას. მისი პროგრამა აღიარებს ამ ერების თვითგამორკვევის სრულსა და უდავო უფლებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უთუოდ დავეთანხმებით ამ უფლების ყოველგვარ გამოყენებას». იმიტომ, რომ ეროვნული საკითხის გადასაჭრელად არსებობს თურმე სხვა უფრო მიზანშეწონილი საშუალება. «ესაა ფედერატიული წყობილება, ფართო განვითარება ადგილობრივ თვითმართველობისა, კულტურული ავტონომია». ესაა «საუკეთესო საშუალება ერების საკითხის მოსაგვარებლად რუსეთში». ასე ფიქრობენ რუსის ს. რევოლუციონერები და ვინც ასე მსჯელობს, რასაკვირველია, იმან არ უნდა დაუჭიროს მხარი არც საქართველოს არც სხვა დამონებული ქვეყნის დამოუკიდებლობას, რომელიც არის თურმე ცუდი და უვარგისი საშუალება თავისუფლებისათვის.

რუსის ს. რევოლუციონერებს სრულიად არ უნდათ შეიგნონ, რომ დღეს აგრე წოდებული «რუსეთი» არ არის სამკვიდრო მხოლოდ რუსებისა, არამედ იქ ცხოვრობს გარდა რუსობისა მრავალი სხვადასხვა ერი, რომლებიც სრულის უფლებით მიისწრაფვიან საკუთარ სახელმწიფოებრივობისაკენ. არაო, გვიმტკიცებენ: «რუსეთი» არის «განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ერთეული, შეკავშირებული საერთო ისტორიით, შედუღებული რევოლუციონური პერიოდის საერთო განცდებით, საერთო პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით, დამოუკიდებლად სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმისა. დღეს ეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირია, ხვალ შეიძლება იყოს დემოკრატ. ფედერატ. რესპუბლიკა, სახალხო რესპუბლიკების კავშირი ან შეერთებული შტატები». ერთი სიტყვით: არსებობს ერთი მთლიანი რუსეთი და შიგ დღეს მომწყვდეული ერები ერთად უნდა დარჩენო.

მარსელის კონგრესმა იცნო აგრეთვე სომხეთის, უკრაინის და ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ეროვნულ ნაწილების დამოუკიდებელი არსებობის უფლება. მარსელში იყვნენ რუსის სოციალისტები და ხმა მისცეს კონგრესის რეზოლიუციას. მაგრამ დღეს ბრაზი მოსდით, რომ ეს ერები ირაზმებიან, კავშირდებიან, რათა შეერთებულის ძალით შეებრძოლონ მოსკოვს და დაიბრუნონ თავისუფალი ცხოვრება. განსაკუთრებით ვერ ურიგდებიან ქართველების დაახლოვებას უკრაინელებთან. ეს შოვინიზმია, ეს მებრძოლი ნაციონალიზმია და ანტირუსული ბლოკი, რომელსაც ვერ შეურიგდება რუსის ხალხი, გვეუბნებიან ესერები.

საკვირველია ჭეშმარიტად: როცა დამონებული ერი თავისუფლებას მოითხოვს—ეს შოვინიზმია, და როცა რუსის ხალხს უნდა კვლავ იბატონოს სხვა ერებზე—ეს დემოკრატიული და პროგრესიული მოვლენაა! რუსეთის ძველი წესწყობილება სულს უხუთავდა ერებს, ბოლშევიკებმა ფეხით გასთელეს მათი თავისუფლება, მონარქისტები წარსულის ამბების განმეორებას ემუქრებიან, ლიბერალები იარაღს აყღარუნებენ და სოციალისტებიც თითქოს ცთილობენ, რომ საქმე შეატრიალონ და ისევ «მთლიანი განუყოფელი რუსეთი» შეინარჩუნონ. დიდი გულუბრყვილობა და უგუნურება იქნებოდა დაჩაგრული ერების მხრით, რომ ისინი ასეთ მდგომარეობას არ შეებრძოლონ და არ მოითხოვონ განთავისუფლება. ამ ეროვნული თავისუფლების გარეშე შეუძლებელია მათი კეთილდღეობა და წარმატება. და განთავისუფლებული ერები თვითონ უკეთ გამონახავენ, ვის შეუკავშირდენ და როგორის კავშირით. თანამედროვე კულტურა და ეკონომიკა თუ სოლიდარობისა და შეკავშირებისაკენ მოუწოდებს ყველა ერს—დიდსაც და პატარასაც—ამისთვის უპირველესი პირობაა—ჯერ სრული განთავისუფლება დამონებული ერებისა, ცნობა მათი სუვერენობის.

ჩვენ სრულს პატივს ვსცემთ რუსის ერს, განსაკუთრებულის ყურადღებით ვეპყრობით მის დემოკრატიულ წარმომადგენლობას, მზად ვართ ურთიერთ შეთანხმებისა და მორიგებისათვის, მაგრამ ბოლო უნდა მოეღოს ორჭოფობას და ორაზროვნობას და ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი უნდა იყოს უდავო...

ს. ფირცხალავა.

საქართველოს
მგზნებიერ ცხოვრებიდან.

II.

აღებ-მიცემობა რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან*).

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო, ბოლშევიკები თუ მათი ამყოლი ზოგიერთი ჩვენებური არაბოლშევიკიც გაიძახიან, რომ საქართველო ეკონომიურათ რუსეთზე არის გადაბმული, დამოკიდებულია მისგან და ურუსეთოდ საქართველოს ცხოვრება არც კი შეუძლიაო. დამახასიათებელი ისაა, სხვათა შორის, რომ ამას ახლა უფრო ხშირად სწორეთ ჩვენში სწერენ და ლაპარაკობენ, რუსეთში კი კაი ხანია ხმა მაღლა აღიარეს, რომ საქართველო იქმნა დაპყრობილი იმიტომ, რომ იგი რუსეთს ესაჭიროებოდა.

მერე რითი ამტკიცებენ საქართველოს თავისუფლათ, ურუსეთოდ არსებობის შეუძლებლობას ეკონომიურათ?

საქართველოს, როგორც ყოველ თანამედროვე სახელმწიფოს, რასაკვირველია, აუცილებლათ სჭირია ეკონომიური ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და მათ შორის რუსეთთანაც. მაგრამ აძლევს რუსეთი ეკონომიურათ საქართველოს რასმე განსაკუთრებულს, რაც სხვა სახელმწიფოებთან თავისუფალ ურთიერთობაში იმდენათვე არ შეუძლია საქართველომ დაიკმაყოფილოს? შეიძლება ეს საქართველოს საბჭოთა კავშირში «შეყვანით» გამოირკვა და დამტკიცდა? ეს იმდენათ სერიოზული საკითხია, რომ «მენშევიკური დროის» გასაჭირზე და გასაბჭოებულ საქართველოს «კეთილდღეობაზე» გაცვეთილი ფრაზების ღაღადისით არ ამოიწურება. მას უფრო ღრმა შესწავლა და დაკვირვება სჭირია.

რუსეთსა და საქართველოს, როგორც განსაზღვრულ ერთეულებს, ჰქონდათ ერთგვარი ეკონომიური ურთიერთობა წინათ, აქვთ ახლა და ექნებათ მომავალშიც, საქართველოს რუსეთის უღლიდან განთავისუფლების შემდეგ. ამიტომ ეს საკითხი მარტო რეჟიმის საკითხი არ არის, ამ საკითხის ვითარება დამოკიდებულია თვით ამ ორი ქვეყნის—რუსეთისა და საქართველოს—ეკონომიურ ცხოვრების შინაარსზე, იმის მიმართულება და განვითარებაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს შორის ახლანდელ ეკონომიურ ურთიერთობას ვეხებით და თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს ვემყარებით. მაგრამ გვინდა ამასთანავე აღვნიშნოთ ისიც, რომ სურათი დღევანდელი ეკონომიური ურთიერთობისა რუსეთსა და საქართველოს შორის არ არის შემთხვევითი ან მხოლოდ ახლანდელ სპეციფიურ პირობებიდან გამომდინარე; ასეთივე ხასიათი ჰქონდა დაახლოებით ამ ეკონომიურ ურთიერთობას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდის და ექნება მანამდის, სანამ რუსეთის და საქართველოს ეკონომიური წინსვლა დაახლოებით ერთგვარი ტემპის იქმნება და თუ საქართველოს ეკონომიური პროგრესი ხელოვნურათ არ იქმნა შეჩერებული. საქართველო ეკონომიურათ იმდენათ არის გადაბმული რუსეთზე, რამდენათ რომელიმე სხვა სახელმწიფოზე, თუ ნაკლებათ არა (ბევრ შემთხვევაში) და უფრო ხელოვნურათ, ვინემ ბუნებრივათ. ტრანსპორტის გაიაფება და გაადვილება, რაც ამ უკანასკნელ დროს დიდის სისწრაფით წინ მიდის, საბაჟო წესების გაადვილება და საბაჟო გადასახადების შემცირება, რისთვისაც ახლა განათლებული კაცობრიობა იბრძვის, კიდევ უფრო დაუახლოვებს საქართველოს ეკონომიურათ ევროპის ბაზრებს, ვინემ ამას [illegible]ემდის [illegible]ადგილი ჰქონდა, თუ, როგორც ვსთქვით, [illegible] ეკონომიურ[illegible]ანვითარება მომავალშიც არ ჩამორჩა რუსეთისას.

და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ჩვენს დროში ერთი-მეორეზე ეკონომიურათ დამოკიდებულნი უფრო სხვა და სხვა ხასიათის სახალხო მეურნეობის ქვეყნები არიან, ვიდრე ერთნაირის: დაახლოებით ისე, როგორც სახელმწიფოს შიგნით ქალაქი და სოფელი, საერთაშორისო აღებ-მიცემობაში ერთის მხრით სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების და ნედლი მასალის მიმწოდებელი და მეორეს მხრით ამ ნაწარმოების მომხმარებელი, სამრეწველო, ქვეყნები არიან მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობაში. ნორმალურ პირობებში, რასაკვირველია. რუსეთის და საქართველოს სახალხო მეურნეობა ამ მხრივ უფრო ერთ კატეგორიაში შედიან (ორივე უმთავრესად სასოფლო მეურნეობის და ნედლი მასალის ქვეყნებია), ვინემ წარმოადგენენ ერთი მეორის საჭიროებათა დამაკმაყოფილებელ ქვეყნებს საგარეო აღებ-მიცემობის თვალსაზრისით.

ერთი სახელმწიფოს თუ ქვეყნის მეორე ქვეყანასთან ურთიერთობას და დამოკიდებულებას საუკეთესოდ გამოხატავს მათ შორის არსებული აღებ-მიცემობა; ამ აღებ-მიცემობის გამომსახველი კი არის სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი.

«1924-25 წ. საქართველოს საგარეო აღებ-მიცემობაო, ვკითხულობთ საქ. საგეგმო კომისიის გამოცემაში («საქ. სახ. მეურნეობა 1924-25 წ.») შემდეგ «ურთიერთობაშია მენშევიკურ დროის აღებ-მიცემობასთან» (მილ. ოქროს მანეთით) (69 გვ.:

	1919 წ.	1920 წ.	1924-25 წ.
ექსპორტი	10,4	7,1	35,8
იმპორტი	27,0	12,3	63,4
საერთო ბრუნვა	37,4	19,4	99,2
განსხვავება (დეფიციტი)	16,6	5,2	27,6.

ამნაირათ, დამოუკიდებლობის დროსთან შედარებით საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი გაზრდილა ხუთჯელ (19,4—99,7), ხოლო დეფიციტი ყოფილა 1919 წ.—16,6 მილ. მან., 1920 წ.—5,2 მილ. მან. და 1924-25 წ.—27,6 მილ. მან. ესე იგი: საგარეო ვაჭრობის ზრდასთან ერთად უმატნია დეფიციტსაც და იგიც ხუთჯელ ცოტა მეტით გაზრდილა 1920 წ. შედარებით. პროცენტული განსხვავება იმპორტსა და ექსპორტს შორის იგივე დარჩენილა, რაც წინათ იყო; პასივი ისევე ხუთჯელ აღემატება საგარეო ვაჭრობის აქტივს, როგორც იგი აღემატებოდა მაშინ, როცა საქართველოში საზღვარგარეთ ექსპორტისთვის გაცილებით უფრო მძიმე პირობები იყო (სრუტეები დაკეტილი, მეზობელ სახელმწიფოებში—რუსეთში და ოსმალეთში—ანარქია). რუსეთში შესვლით საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი ოდნავათაც არ გააქტივებულა.

ექსპორტის საერთო ჯამი 1924-25 წ. უდრის 36.031 ათას ჩერვ. მანეთს. აქედან გატანილია:

საზღვარ გარეთ (არა საბჭ. ქვეყ-ში)	16.404,0	ათასი მ.	ანუ 45,5 პრ.
აზერბეიჯანში	2.975,6	„ „ „	8,3 „
სომხეთში	1.199,1	„ „ „	3,3 „
დანარჩენ საბჭ. რესპუბლიკებში	15.452,7	„ „ „	42,9 „
			(77 გვ.)

ესე იგი: საერთო ექსპორტიდან რუსეთში გადატანილია 42,9 პროც., ხოლო რუსეთის გარეთ—57,1 პროცენტი.

არის საქონელი, რომლის ერთი მისხალიც კი არ არის გატანილი რუსეთში; მაგალ., აბრეშუმის პარკი; არის საქონელი, რომლის სულ უმნიშვნელო ნაწილი გააქვს რუსეთს: მაგალ., შავი-ქვა გატანილია რუსეთში 17 ათასი მანეთის, საზღვარგარეთ კი—11.791 ათას მანეთის; სიმინდი გატანილია რუსეთში 2 ათას მანეთის, საზღვარგარეთ [illegible] ათას მანეთის, და სხვ. რუსეთში გაუტანიათ უმთავრესად: ხილი, ღვინო და სპირტი, თამბაქო, ბამბა და მატყლი. ამ უკანასკნელ დარგის საქონელში—ბამბა, მატყლი და თამბაქო საზღვარგარეთ არა ნაკლებ ბაზარს იშოვიდა, ვინემ რუსეთში (მაგ. მატყლი გაყიდულია საზღვარგარეთ 634 ათასი მან. რუსეთში კი 259 ათასი მან.), მაგრამ იგი წარგზავნილია რუსეთში იმიტომ, რომ იქაურ ქარხნებს ესაჭიროებოდა, და არა სხვა ბაზრის უქონლობის გამო (194 გვ.). ამნაირათ, უმთავრეს საექსპორტო საქონელთა შორის ხილი, ღვინო და სპირტი არის ის, რომლის საუკეთესო ბაზრათ შეიძლება რუსეთი ჩაითვალოს; მაგრამ ეს საგნები სრულებითაც არ თამაშობენ უმთავრეს როლს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

იმპორტი უდრის 64.147.1 ათას მანეთს. აქედან შემოტანილია:

საზღვარ გარეთიდან (არა საბჭ. ქვეყ.)	8.964,0	ათ. მან.	ანუ 14 პრ.
აზერბეიჯანიდან	8.110,1	„ „ „	12,6 „
სომხეთიდან	1.731,0	„ „ „	2,7 „
დანარჩენ საბჭ. რესპუბლიკებიდან	45.342,0	„ „ „	70,7 „
			(84 გვ.)

ესე იგი: საერთო იმპორტიდან შემოტანილია რუსეთიდან («დანარჩენ საბჭ. რესპუბლიკებიდან») 70,7 პროც., ხოლო სხვა ქვეყნებიდან 29,3 პროც. რუსეთიდან შემოტანილია (195 გვ.) უმთავრესად: პურის ფქვილი—12.502 ათასი მანეთის, ფართალი—18.489 ათასი მან., შაქარი—8,687 ათასი მან., რკინა, თუჯი და ფოლადი—1.077 ათასი მან. (უკანასკნელ საგნების ნაწილი უკანვეა რუსეთში გატანილი).

პურის საკითხი ისეთი საკითხია, რომ იგი ბევრს მართლაც ახედვინებდა და ახედვინებს ჩვენში რუსეთისაკენ. სრულიად უსაფუძვლოთ, სამწუხაროთ (თვითონ ბოლშევიკებიც გვპირდებიან, რომ როცა ისინი არხებს გაიყვანენ და ჭაობებს ამოაშრობენ, ჩვენში საკმარისი პური მოვა). განა დამახასიათებელი არ არის ის გარემოება, რომ იმ 12.502 ათასი მან. (3.532 ათასი ფუთი) პურის ფქვილის გარდა, რაც რუსეთიდანაა შემოტანილი 1924-25 წ. განმავლობაში, 5.099 ათასი მან. (1.326 ათასი ფუთი) ფქვილი იმავე დროს საქართველოს საზღვარგარეთიდან შემოუტანია? სულ ერთია რა მიზეზის გამო, მაგრამ დამახასიათებელი ის არის, რომ პურიც კი, რომელიც რუსეთს შორეულ უცხოეთში გააქვს და იქ ცნობილი იყო როგორც ერთად-ერთი იაფ-ფასიანი რუსეთის ნაწარმოები, საქართველოშია შემოტანილი რუსეთიდან ორი მესამედი, ხოლო ერთი მესამედი ისიც უცხოეთიდან არის შემოტანილი. და ეს მაშინ, როცა საქართველო შედის რუსეთის «კავშირში» და იმის ურთიერთობა უცხოეთთან მრავალ დაბრკოლებებით არის შეზღუდული «კავშირის» მიერ.

იმპორტის დანარჩენ საგნებში უმთავრესი ადგილი უჭირავს ფართალს, შაქარს და ლითონს (რკინა, თუჯი, ფოლადი). როგორც ძველ რუსეთში, ისე განსაკუთრებით ახლა, ყოველგვარ საფაბრიკო ნაწარმოების შემოტანას რუსეთიდან და არა ევროპიდან ჩვენში ჰქონდა წმინდა ფისკალური, არა პირდაპირი გადასახადის ხასიათი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა უხდიდა ძველათ რუსეთის ხაზინას და ვაჭარ-მრეწველთა კლასს, ახლა კი—საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხაზინას. რატომ?

რუსეთის უმთავრესი სამრეწველო-საფაბრიკო ცენტრები მოთავსებულია უფრო ჩრდილოეთისაკენ, ვინემ სამხრეთში, და საქართველოზე ძალიან დაშორებულია; ამ სიშორეს იმით აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ საქონელს უმეტესი გზა ხმელეთით აქვს გასავლელი, ხოლო ცნობილია, რომ ტრანსპორტი ხმელეთით (რკინის-გზით) გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე ზღვით. ერთი ტონი ხორბლის გადაზიდვა, მაგალითად, ომის წინ ნიუ-იორკიდან ლივერპულამდის ღირდა 10 ფრ., მაშინ როცა რკინის-გზით ამავე ბარგის გადატანა 200-400 ფრ. დაჯდებოდა; ჩვეულებრივ რკინის-გზის ტარიფი 20-40 ჯელ უფრო ძვირია, ვიდრე ზღვის ფრახტი, ეს ყოველგან, ხოლო სიძვირე რკინის-გზის ტარიფების დღევანდელ საბჭოთა პირობებში ხომ განსაკუთრებულია.

გარდა ამისა, გარდა ამ, ასე ვსთქვათ, ბუნებრივი მიზეზისა, ძველი რუსეთი, და ახალი კიდევ უფრო, აწესებდა და აწესებს უცხოეთის საქონელზე საშინელ ბაჟებს, ორი მიზნით: წმინდა ფისკალურის და თავის ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის პროტეკციონიზმის მიზნით. ამ უკანასკნელს, მფარველობითი სისტემას (პროტექციონიზმს) აზრი საქართველოსთვის, ვსთქვათ, მაშინ კიდევ ექმნებოდა, რომ რუსეთს საქართველოში ქარხანა-ფაბრიკები მართლაც მოეწყო და, თუ მოსახლეობას შინ დამზადებული საქონელი ძვირათ დაჯდებოდა, ერთნაირ კომპენსაციას იგი მაინც იპოვიდა სამუშაო ქირაში და სხვა შინაურ მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებულ პირობებში. მაგრამ ამ ასე არ არის: საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც დავინახეთ, ისეთივე პასიურია, მას ისევე შემოაქვს საქონელი, როგორც წინათ და საგარეო ვაჭრობის დეფიციტი საქართველოსთვის ოდნავათაც არ შეცვლილა.

საქართველოს საქონელი უმთავრესად რუსეთიდან მემოაქვს, ხოლო დღევანდელი სიძვირე რუსეთის ქარხნებში დამზადებული საქონლის პირდაპირ საზღაპროა. თუ ძველათ ევროპის ნაწარმოები სჯობნიდა რუსეთის ნაწარმოებს უმთავრესად ხარისხით, ახლა რუსეთის ნაწარმოები ევროპის ნაწარმოებთან შედარებით ფასითაც და ხარისხითაც ყოველივე კრიტიკის გარეშე სდგას. ამის მტკიცება საჭირო არ არის და ეს ადვილი ასახსნელიცაა: სადაც ტეხნიკა უკეთ არის განვითარებული, იქ ნაწარმოები უფრო იაფიც არის და უკეთესი ხარისხისაც.

ახლა ნება მიბოძეთ, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა საილუსტრაციოთ მაგალითიც მოვიყვანოთ. ღირებულებით ყველაზე უფრო დიდი ნაწარმოები, რაც რუსეთიდან დღეს ჩვენში შემოდის, არის ფართალი—18.489 ათასი მანეთის (238 ათასი ფუთი—195 გვ.). სახელმწიფო ორგანოების საბითუმო ფასი თბილისში უდრიდა (123 გვ.): ნარმა—25,71 კაპ. არშინი და ჩითი—30,71 კაპ.—31,43 კაპიკამდის, საშუალოდ არშინი—31,7 კაპ. რასაკვირველია, მარტო ნარმა და ჩითი არ იქნებოდა ჩვენში შემოტანილი, არამედ შალეულიც და აბრეშუმეულიც; მაგრამ გავანებოთ თავი ძვირ ფართალს და ვიანგარიშოთ, რომ მხოლოდ ნარმა და ჩითია შემოტანილი 238 ათასი ფუთი, ორივე საშუალო ფასებში—28,7 კაპ. არშინი. რამდენი უზარაოლია მოსახლეობას, რომ ეს საქონელი მას შემოუტანია რუსეთიდან და არა საზღვარ-გარეთიდან?

ერთი მეტრი ნარმის აქ პარიზში, რომელიც სრულებით არ იძლევა უიაფეს ნაწარმოებს სხვა ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ამავე დროს ღირდა (საბითუმო ფასი)—1 ფრ. 50 სანტ. და ჩითი—2 ფრ. მეტრი. საშუალოდ ორივე ფართალი 1 ფრ. 75 სანტ. მეტრი ანუ არშინზე რომ გადავიტანოთ (ერთი მეტრი უდრის 1 არშ. და 6,5 ვერშ. ანუ 10 მეტრი უდრის 14 არშინს) 1 ფრ. 25 სანტ. არშინი. 238 ათასი ფუთი ჩითი და ნარმა შეად-

---

*) თუმცა ფორმალურათ დღეს რუსეთი მხოლოდ «რუს. სოც. ფედ. რესპუბლიკას» ეწოდება, მაგრამ ჩვენ ვგულისხმობთ აქ «კავშირში» შემავალ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებსაც (მაგ. უკრაინასაც, ბელორუსიასაც და სხვ.), რათა ჩვენ მიერ წამოყენებული საკითხი უფრო ნათელი და უდავო იქმნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს დაახლოებით 66.640.000 არშინს *). ეს რაოდენობა არშინობით, გამრავლებული 1 ფრ. 25 სანტ., შეადგენს 83.300 ათას ფრ. ანუ 238 ათასი ფუთი ნარმისა და ჩითის ღირებულებას პარიზში. ფართლის გადატანა ერთი ტონის პარიზიდან მარსელამდის რკინის-გზით ღირს—780 ფრ., მარსელიდან ბათუმამდის ზღვით—310 ფრ., ტრანზიტის გადასახადი—35 ფრ., დატვირთვა—19 ფრ. 238 ათასი ფუთი შეადგენს დაახლოებით 3.966 ტონას. ამნაირათ მთელი ხარჯი უდრის: რკინის გზა პარიზიდან მარსელამდის—3.093.480 ფრ.; ზღვის ფრახტი მარსელიდან ბათომამდის—1.229.460 ფრ.; ტრანზიტი და დატვირთვა (ტონზე ერთად 54 ფრ.) 214.160 ფრ.; ესე იგი, მთელი ხარჯი აღნიშნულ ფართალზე, როგორც ყიდვა იმის, ისე პარიზიდან ბათომში ჩატანით, ჯდება 87.837.100 ფრ.

ჩერვონეცის ერთი მანეთი 10 ფრანკათ რომ ვიანგარიშოთ (ახლა ჩერვონეცი ფაქტიურათ გაცილებით მეტი ფასობს) გამოდის 8.783.700 მან. ამას რომ მივუმატოთ საბითუმო ვაჭრობის უდიდესი მოგება 20 პროც. (ჩვეულებრივათ საბითუმო ვაჭრობაში უმატებენ 5-6 პროც., მაგრამ ჩვენ ვიღებთ 20-საც, რადგან საბჭოთა ვაჭრობა დიდ მიმატებასაა ჩვეული) ანუ 1.756.740 მან., მაშინაც პარიზიდან ჩვენში ჩამოტანილი ნარმა და ჩითი 66.640.440 არშ. ბითუმით გასაყიდათ დაჯდებოდა არა უმეტეს 10.540.440 მან. ჩვენში კი საბითუმო ფასი ნარმა-ჩითის, როგორც ვსთქვით, შეადგენდა საშუალოდ 28,7 კაპ. არშინზე, რაც ფართლის აღნიშნულ რაოდენობაზე გამრავლებული შეადგენს 19.125.680 მან. ესე იგი: განსხვავება საქართველოში რუსეთიდან შემოტანილი ფართლის, მხოლოდ უბრალო ფართლის ღირებულების კვალობაზე, იმავე საქონლის პარიზიდან შემოტანილ ღირებულებასთან შედარებით 8.685 ათას მანეთს აღემატება (თითქმის ორჯელ მეტია).

ამნაირათ, თავი რომ გავანებოთ ფართლის ხარისხს, თავი რომ გავანებოთ უბრალო ნარმა-ჩითზე უფრო ძვირ ფართალს, მარტო ფართალში, იმიტომ რომ იგი შემოაქვთ ჩვენში რუსეთიდან და არა ევროპიდან, საქართველოს მოსახლეობა წლიურათ ცხრა მილიონ მანეთამდის ზედმეტს იხდის, რაიცა სულზე 3 მან. მეტს შეადგენს. და ეს მაშინ, როცა მოსახლეობა, განსაკუთრებით სოფლათ, ნახევრად შიშველია; რაღა იქმნებოდა, რომ იგი საკმარისად ჩაცმული იყოს!

ასეთია ეკონომიური შედეგი მხოლოდ ფართლის შემოტანისა რუსეთიდან. არა ნაკლები იქმნება, ასე დეტალურათ რომ ვიანგარიშოთ, შედეგი ყველა იმ ფაბრიკეატების, რომელიც საქართველოს იძულებით შემოაქვს რუსეთიდან. განა ეს უმძიმესი არა პირდაპირი გადასახადი არ არის საქართველოს მოსახლეობაზე გაწერილი?

და აი ასეთ პირობებში საქართველოს იმპორტის 71 პრ. შეადგენს რუსეთიდან შემოტანილი საქონელი და მხოლოდ 29 პროც. უცხოეთიდან შემოტანილი! საგულისხმოა და დამაფიქრებელი ეს გარემოება, თუ არა?

სტატისტიკის მხოლოდ გარეგნულ მხარეში, მშრალ ციფრების მხოლოდ რაოდენობაში, ბოლშევიკები და მათი ამყოლნი და ყველა ჯურის მტერნი საქართველოს დამოუკიდებლობისა თითქოს პოულობენ საბუთს ხალხისთვის სათქმელათ: ხედავთ რამდენათ დამოკიდებულია საქართველო რუსეთიდან—71 პროც. საქონლისა მას რუსეთიდან შემოაქვსო! ხოლო იმას კი, რაც უმთავრესია, რაც ციფრების იქეთ იმალება და საქართველოს მოსახლეობას ზარალს აყენებს, განზრახ თუ შეუგნებლათ აღარ ამბობენ: ვინ იგებს რუსეთის ნაწარმოების იმპორტით ჩვენში ნაცვლათ ევროპიულ ნაწარმოების იმპორტისა, საქართველოს მოსახლეობა თუ რუსეთის ხაზინა? ვის სასარგებლოთ არის შეკრული გზა უცხოეთის უდიდეს და უიაფეს ბაზრებისაკენ, საქართველოს მოსახლეობის თუ რუსეთის დანჯღრეულ ქარხნების სასარგებლოთ?

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსს აუარესებს აგრედვე შემდეგი გარემოებაც. საგარეო ვაჭრობის და ამ მიზნით დადებულ ხელშეკრულებათა საანბანო წესია, რომ ქვეყანა, რომელსაც საქონელი გააქვს მეორე ქვეყანაში, თავისუფალი უნდა იყოს იქედან შემოიტანოს ყოველივე ის, რაც მისთვის ხელსაყრელია, და წინააღმდეგ. ეს ერთი უმთავრესი დაბრკოლებათაგანია, როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირისთვისაც სავაჭრო ხელშეკრულებების დასადებათ ევროპის სახელმწიფოებთან, რადგან საბჭოთა კავშირისთვის ასეთი წესი მიუღებელია, ვინაიდან იგი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას ძირს უთხრის. ხოლო აღნიშნულ წესს აღებ-მიცემობისას სულ უბრალო ანგარიშიც უდევს საფუძვლათ: გემი რომ იქეთ საქონელს წაიღებს, უკან ცარიელი არ უნდა ბრუნდებოდეს და წინააღმდეგ. როცა ეს ასე არ ხდება, თუ გემს მისატანი არაფერი დაურჩა და მხოლოდ საქონლის წამოსაღებათ უნდა წავიდეს, წამოსაღებ საქონელს ორმაგი საზღვაო ხარჯი (ფრახტი) ედება—მისასვლელიც და წამოსასვლელიც. საქართველო სწორეთ ასეთ საზარალო პირობებში არის ჩაყენებული ხელოვნურად. 1924-25 წ. საქართველოდან საზღვარ-გარეთ 24.328 ათასი ფუთი გაუტანიათ. იმავე დროს კი იქედან მხოლოდ 1.847 ათასი ფუთი შემოუტანიათ. და ეს მაშინ, როცა იმავე მიმართულებით საქართველოს ძალიან ბევრი რამე შეეძლო შემოეტანა უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინემ რუსეთიდან, საითაც მას იმავე ხნის განმავლობაში გაუტანია მხოლოდ 2.871 ათასი ფუთი, ხოლო იქედან კი 7.300 ათასი ფუთი შემოუტანია (194-5 გვ.).

როცა ევროპის სახელმწიფოები საკუთარ ნაწარმოებს აწვდიან კოლონიებს (თუმცა არასოდეს ეს ისეთ გარდაუვალ და მონოპოლიურ პირობებში არ ხდება, როგორც საბჭოთა კავშირში), იმის უნარი მაინც აქვთ რომ იქაური ნაწარმოები და ნედლი მასალაც თვითონ წამოიღონ და გაასაღონ; საქართველოს ნაწარმოების უდიდესი ნაწილი რუსეთში ვერ საღდება და იგი ევროპის ბაზარზე გადის; ხოლო იმის მაგიერ, რომ ამავე დროს ევროპაში აღებული ფულით ევროპისავე იაფ ფასიანი და საუკეთესო ხარისხის ნაწარმოები მიიღოს საქართველოს მოსახლეობამ, იგი იძულებულია რუსეთის მდარე და ძვირი საქონელი შეიძინოს და საქონლის გადასაზიდი ხარჯიც ორივე მიმართულებით გაორკეცებული იხადოს, რადგან იმის უდიდესი ნაწილის გატანა და შემოტანა სულ სხვადასხვა მიმართულებით ხდება.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით სხვა მრავალ—სავალიუტო, საბირჟო, სავექსილო და სხვ.—გართულებათა შესახებ, რაც აღნიშნულ პირობებში აუცილებელია.

ჩვენ არ ვიცით, როგორია დღეს საკართველოს საანგარიშო ბალანსი, მაგრამ ცხადია, ის გარემოება, რომ საქართველოს რკინის-გზების (ტრანზიტი), ფოსტა-ტელეგრაფის და ნავთსადგურების შემოსავალი ცენტრალურ (მოსკოვის) კასაში შედის, საქართველოს საანგარიშო ბალანსზე, კერძოთ აღებულზე, ეს დიდ უარყოფითი გავლენას ახდენს.

ასეთსავე უარყოფითი გავლენას ახდენს უეჭველია საქართველოს საანგარიშო ბალანსზე ის სპეციფიური პირობები საბჭოთა რეჟიმის, რომელიც აბრკოლებს უცხოელთა თავისუფალ მოგზაურობას საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ეკონომიურ, კულტურულ, გასართობ (ტურიზმი) და სხვ. მიზნებით. 1924-25 წლის განმავლობაში «საზღვარ-გარეთელ ნაოსნობის» ცნობების მიხედვით 1913 წელთან შედარებით ჩვენში ჩამოსულ მგზავრთა რიცხვი შეადგენს მხოლოდ 6 პროც., ხოლო გასულთა—8,1 პროც. (60 გვ.); არ ვფიქრობთ რკინის-გზით (ამის ცნობები სამწუხაროთ არ არის) მეტი იყოს საზღვარ-გარეთთან მისვლა-მოსვლა.

ასეთია მოკლეთ შინაარსი იმ ფაქტიური მასალის, იმ სტატისტიკის, რომელიც გამოხატავს რუსეთის და საქართველოს დღევანდელ ეკონომიურ ურთიერთობას. არც ერთ ერს, მათ შორის არც პატარა საქართველოს, დღეს კარჩაკეტილი ცხოვრება არ შეუძლია. იგი ეკონომიურათ გადაბმულია ყველა ქვეყნებთან, ყველა ერებთან, მათ შორის რუსეთთანაც, როგორც მეზობელთან; მაგრამ უპირატესობანი რუსეთის და საქართველოს ეკონომიური ურთიერთობის, რომელიც საქართველოს რუსეთის ფარგლებში მოქცევიდან გამომდინარეობს, რუსეთის მხარეზეა. ესაა ფაქტი და ვისაც ეს ფაქტი არ უნდა დაინახოს, ის აშკარა ჭეშმარიტებას ღალატობს.

მაშ საიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი საქართველოს განსაკუთრებულ ნივთიერ დახმარებას უწევს და საქართველოს ურუსეთოდ დამოუკიდებელი არსებობაც კი ეკონომიურათ არ შეუძლია? შეიძლება ეს სჩნდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან? გავეცნოთ იმასაც.

კ. კანდელაკი.

შეცდომის გასწორება: წინა წერილში მესამე სვეტში ორ ადგილას ნათქვამია «დავიწყების გარეშე»; უნდა იყოს: «სოფლის მოსახლეობის მნიშვნ. მასები ამ ორგანოთა დაკვირვების გარეშე» და სხვ.

ბოლშევიკური დიდმოურავიანი.

ჩვენს უდიერად გაიძვერა დროში ისტორია დიდ პატივშია. იგონებენ გრაკჩებს, სპარტაკს, მარატს და სხვებს. ბოლშევიკებმა განსაკუთრებული კალენდარიც კი შემოიღეს. ყველა ყაჩაღს პირი დაბანეს, თმა დავარცხნეს და გუტენბერგი და სტენკა რაზინი, სპინოზა და ემელკა პუგაჩოვი ისტორიაში ერთად შელალეს. ბედი არა ჰქონდათ მხოლოდ ქართველ ყაჩაღებს. ჩვენი თანამემამულეთა ამ სახელოვანი გუნდიდგან, რამდენადაც მახსოვს, ბოლშევიკურ ისტორიაში, ერთი არსენა ოძელაშვილი მოჰყვა. მაგრამ ჩვენ რუსიყვარია ბოლშევიკებს აქაც კოზი ნაცარში ჩაუვარდათ. არსენა ოძელაშვილი რუსოფობი იყო. თორმეტ ყაზახ-რუსს თოფები მიწით დაუტენა და კუდით ქვა ასროლინა. ასე ამბობს თუ «ქართლის ცხოვრება» არა—ლეგენდა მაინც...

ბედი არა ჰქონდათ ქართველ ყაჩაღებს. მაგრამ ბედი ჰქონდა ზოგ ქართულ ისტორიულ ფიგურას. დღიდგან ბოლშევიკების ჩვენში შემოსვლისა, დიდ პატივში გახდა გიორგი საკაძის სახელი. რა თქმა უნდა, ამაზედ ბოლშევიკები არც თავის სიტყვებში ლაპარაკობენ, არც წერილებში. გიორგი საკაძე რომ «პროლეტარული რევოლუციის» ბელადათ არ გამოდგება, ეს ბოლშევიკებმაც იციან. მაგრამ ქართველ ბოლშევიკებს, საერთო ბოლშევიკური [illegible] «ქართული» სენიცა სჭირთ—თავი დიდ პატრიოტებათ მოაქვთ და ამიტომაც უკან, ისტორიაში, იხედებიან. ყველა მოღალატეს და ვიგინდარას, ან ვისაც ჩეკაში ხელი მოუწერია, თავი საკაძედ მოაქვს. «პატარა» წაღალატება ქვეყნისა, იმ იმედით, რომ ასე იქცეოდა «თვით» დიდი მოურავი, პოლიტიკურ ზნეობად იქცა და ყველა გამცემი და ჯალათი პატრიოტულ შეღავათს ამაში ხედავს.

ეს გამოჩენილი ისტორიული გვამი, რომლის ბადალსაც ქართული დიდების გამაზვიადებელი პატრიოტები, სხვა ერთა ისტორიაშიც ვერა ხედავენ, მაგრამ, რომელსაც, უკვე ჩვენსავე ისტორიაში ჰყავს არა ნაკლებ სახელოვანი წყება პატივცემული წინაპრებისა—ქართული პატრიოტიზმის მაგალითად არის მიჩნეული. იგონებენ საკაძეს და, იმავე ბოლშევიკური დეკრეტით, დავითი მეფე «აღმაშენებლობიდგან» გადაყენებულია, გუნდრუკს უკმევენ პოლიტიკურ წაჯე-უკუჯექობას და მივიწყებულია ნამდვილი ქართული სათნოება, რომელიც ერთი ჰქმნიდა ჩვენს ისტორიას.

ასეთი ისტორიული შედარება ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელია. პიროვნულად ფილიპე მახარაძე ისე ჰგავს საკაძეს, როგორც ხარი იუპიტერს. შულავერის პროკლამაცია, რომელზედაც მას ხელი უწერია, არც ტაშის კარის გამარჯვებაა, არც მარაბდის ომი. უფრო ნაკლებ წარმოსადგენია, რომ მახარაძემაც ისე ამოქლიტოს რუსის ჯარი, როგორც საკაძემ სპარსული. როგორცა ხედავთ, შესადარებელი არაფერია. განსხვავება პიროვნებათა შორის დიდია, არც ჩვენი საუკუნე ჰგავს საკაძის საუკუნეს. მაგრამ არსებობს მსგავსება ფაქტებს შორის. ბოლშევიკებმაც ისე მოიყვანეს რუსის ჯარი საქართველოში, როგორც, ამ სამი საუკუნის წინეთ, საკაძემ სპარსული. აი, რატომ სჭირიათ ისტორია, რაში ხედავენ «შეღავათს» და რატომ არ გადაბან ამ კაცთან თავისი სახელიც; მით უმეტეს, რომ საკაძის შესახებ საქართველო აგერ სამი საუკუნეა სცდება და ზოგი რომ მოღალატეს უძახის, ზოგს უებრო პატრიოტი ჰგონია. ამას გარდა, ამ ქვეყნად საბოლოო არაფერია და ერთ დღეს «პროლეტარულმა რევოლუციამაც» თქვენი ჭირი უნდა წაიღოს. ბოლშევიკურ სამეფოში როგორღაც ყველაფერი აირია და ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს. ტროცკი სტალინს ეომება, მახარაძე—ცინცაძეს, უკრაინა მოსკოვს, ევროპა—ბოლშევიზმს. მსოფლიო შარაზედ გადმოთრეულმა ხარის ფაშვმა, ერთი დღეც არის, უნდა დაიძახოს და ნაწლავები გარედ გამოვლენ. ვინ დაუშლის ქართველ დარდიმანდებს დოინჯი შემოირტყან, ამ დიდ ქართლელ აზნაურს გვერდში ამოუდგნენ და თანაც გვითხრან: სამი საუკუნეა საკაძის პატრიოტიზმზედ კამათობთ, არა გნებავთ, ახლა ჩვენ პატრიოტიზმზედ იკამათოთ, თუ საქმე აზნაურობაშია, აზნაურები ჩვენც ბევრი გვირევიაო?! განა რომ ნაცნობი სურათია! საქართველო არა არა ერთხელ მდგარა ასეთი ამოცანის წინაშე და რამდენი უბრიყვებიათ ხალხი ამ პატრიოტიზმის სახელით!

ყოველივე ამას აშკარა შანტაჟის სუნი უდის და ზოგიერთი პრინციპი ზნეობისა და მამულიშვილობისა გადასინჯული უნდა იქნას. საჭიროა ისტორიაში ჩახედვა. საჭიროა საკაძის დანახვაც. სფინქსად არ მოსულა ეს კაცი ჩვენს წარსულში. და სიკვდილითაც იმნაირად მოკვდა, რომ საიდუმლო თან არაფერი წაუღია. მისი საქციელი ორ აზრს არ უნდა იწვევდეს და გაუგებრობა, მის სახელთან გადაბმული, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი დაუდევრობის ბრალი იქნება. ვინ იყო გიორგი საკაძე?

საკაძე იყო უტყუარი სამხედრო ნიჭი, ახოვანი და იმ მღელვარე დროის ყველა წარმტაცი ფერებით აყვავილებული დიდი ფიგურა, ჭკვიანი, მაგრამ უფრო ხშირად შემცდარი, რომელმაც საქართველოს გამარჯვების სიტკბოც აგემა, მაგრამ უფრო ბევრი შავი დღე გაუთენა. თუ მაშინდელ ქართველობას, ზოგჯერაც არის, მოსწონდა იგი, იმიტომ რომ ასეთი მართლა გამბედავი პიროვნება იყო. თავის პოლიტიკურ კომბინაციებში შაჰაბასს ეყრდნობოდა, მაგრამ ოდესმე ბასწინა-აღმდეგაც მიდიოდა და მიჰყავდა ქართველობაც. ამ გამბედაობას არაფერი აქვს საერთო იმ ქართულ ბოლშევიკურ ლაჩრობასთან, რომელსაც საქართველოში ხეირიანი ბოლშევიკური ოპოზიციაც ვერ მოუწყვია. ასეთი თავმოყვარეობის ხალხს, საკაძე ფეხსაც არ გაუშვერდა, რომ მისთვის ქალამანი შეეხსნათ. ამ მხრივ საკაძე მათი ფარდი არ არის, და მიუხედავად ამისა, საკაძის ფასი პატრიოტისა დიდი არ არის. საკაძე, პირიქით, საყურადღებოა, როგორც პიროვნება, ვისთვისაც ერი, სამშობლო დაჩრდილული იყო საკუთარი სულის გააფთრებული მეობით. ასეთები იყვნენ ალკიბიადესი ძველ საბერძნეთში და კორიოლანუსი—რომში. მაგრამ არც საბერძნეთში და არც რომში ისინი პატრიოტებათ არ ითვლებოდნენ. როგორ უცქერის ქართველი ხალხი საკაძეს? არის ერთი გარემოება, ფრიად საყურადღებო და მაჩვენებელი იმისა, თუ რა აზრისა არის მაზედ ქართველი ერი. ქართველობა სდუმს საკაძეზედ. ის არ მოჰყვა ხალხურ თქმულებაში. მე არ გამიგონია არც ერთი ხალხური ლექსი მაზედ. ნამდვილ ეროვნულ გმირებს და წასაბაძ მაგალითებს, ხალხის მეხსიერება და მეტადრე ქართული, ასე არ ექცევა. ან არა და, უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხური თქმულება რომელიმე ისტორიულ პირზედ გვიანა ჩნდება და საყურადღებოა, რომ საკაძეზედ იგი ბოლშევიკურ დროს ჩნდება.

საკაძე არ მოჰყვა არც ჩვენ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. მე სახეში მაქვს წმინდა ლიტერატურა და არა ის ქართული თხზულებები, რომლებიც საკაძის ახლო დროს დაიწერენ და უფრო ისტორიულ ამბებს წარმოადგენენ, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებთ. ილია ჭავჭავაძემ შეაქო დიმიტრი თავდადებული, აკაკი წერეთელმა თორნიკე ერისთავი, ბაგრატ დიდი და ცოტნე დადიანი, საკაძე ვერ მოჰყვა გრიგოლ ორბელიანის პოემაშიც, სადაც ამ უბადლო ქართულმა თამადამ ყველა დიდი ქართველის სადღეგრძელო დასცალა. და პირიქით, ან. ფურცელაძის და ალ. შანშიაშვილის დრამები, საკაძის ცხოვრებაზედ დაწერილნი, ყველა ქართულ ნაწარმოებზედ სუსტნი იმიტომ გამოდგნენ, რომ საკაძის პიროვნებას პატრიოტულის საზომით მიუდგნენ. ეჭვიც არ არის, რომ ბერძენი ტრაღიკოსნი, ასე მიუდგომელნი ადამიანის ხასიათის ასახვაში, ან ინგლისელი შექსპირი, საკაძეზედ ჩინებულ ტრაღედიას დასწერდა, მაგრამ პატრიოტული ლირიკისათვის ან დრამისათვის არ გამოდგება.

ძველის სუნი უდის ამ შედარებას. ხუმრობა ხომ არ არის, თითქმის, სამი საუკუნე გავიდა!—და როგორა ჰგავს ჩვენი დღეების ამბავს! ოცდა ექვსი მაისი ის უდიდესი ისტორიული დღე იყო, რომელსაც ქართული სული და ხორცი მთლად უნდა გადაეხალისებინა. მაგრამ ძველმა რეციდივმა ისევ იჩინა თავი. ვიღაცები ისევ გაიქცნენ—ამ ხელად რუსეთში—და უცხო ჯარები მოიყვანეს. ვინ არიან ისინი—მართლა საკაძენი და კიდევ სხვანი, რომელთა სახელები მრავლობისა გამო, სჯობიან დავიდუმოთ? ადამიანები ერთმანეთს არასოდეს სავსებით არა ჰგვანან და დღევანდელი საკაძენი გაცილებით უგულო, უჭკუო და ოხერი ხალხია! ქართველმა ერმა არ მიიღო დიდი მოურავის ღალატი, ის ვერ მიიღებს ვერც ამ რუსის მოურავების ღალატს. რაკი ისტორია განმეორდა, მისი მსჯავრიც უნდა განმეორდეს!

შ. ამირეჯიბი.

მემორანდუმი

წარდგენილი კავკასიის და უკრაინის ერების წარმომადგენლების მიერ ნაციათა ლიგის მერვე კრებაზე.

(დასასრული)

კავკასია და უკრაინა.

როგორც უკვე ვსთქვით, წითელი იმპერიალიზმი განაგრძობს მეფეთა იმპერიალიზმის გზით სვლას, ხოლო გაცილებით გაუსწრო უკანასკნელს თავის გაბედული გეგმების სივრცით და არა სინდისიერ საშუალებებით, რომელთაც მიმართავს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოსკოვი ერთგვარ მოქნილობას იჩენს თავის პოლიტიკაში ამ გეგმების განსახორციელებლად როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთში. მაშინ როდესაც ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატს სოციალისტურ სამოთხეს ჰპირდება, აზიისა და აფრიკის ხალხებს აღუთქვამს სრულ განთავისუფლებას აგრე წოდებულ კაპიტალისტურ ქვეყნების ბატონობისაგან.

ამის მაგალითს თვითონ იძლევა მოსკოვი და «ათავისუფლებს» ერებს, რომელთაც კი მიწვდება მისი კლანჭები. მართალია საშინლად დამარცხდა ჩინეთში, მაგრამ სამაგიეროთ დღესაც დაბინავებული ჰყავს თავისი ჯარები ცისქვეშეთი რესპუბლიკის საზღვრებზე, მონგოლეთში და იქ ბრძანებლობს, წინაამდეგ ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულობისა. მეორეს მხრით, ცენტრალურ აზიაში მოსკოვმა გააუქმა ორი სახელმწიფო, ბუხარის საემირო და ქივის სახანო, რომლებიც არსებობდენ ძველი წყობილების დროს. ეს ორი სახელმწიფო შეუერთა თურქესტანს, სადაც ისინი შეადგენენ ორი საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილს—უზბეკისტანისა და თურქმენისტანისას.

გრძელი სიტყვა მოგვინდებოდა, რომ შევუდგეთ იმ ტანჯვის აწერას, რომელსაც განიცდიან ცენტრალურ აზიის ერები; საკმარისია იმის თქმა, რომ მოსკოვი აწარმოებს ამ ადგილებში გამანადგურებელ ომს. თურქესტანის, ბუხარის და ქივის მცხოვრებლებს მუდმივი აჯანყება აქვთ საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. «ბასმაჩების»—ასე ეძახიან აქ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთ—მოძრაობა გაუთავებელია. პირიქით, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მოძრაობა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. შეიარაღებულ ბრძოლის გარდა, მკვიდრნი ბოიკოტს უცხადებენ ადმინისტრაციას და მოსკოვის საქონელს. და ყველაზე უფრო სახიფათო მოსკოვისთვის ისაა, რომ მცხოვრებლებს აღარ მოჰყავთ ბამბა და უფრო აწვებიან ხორბლეულის მოსავალს. მიზანი აშკარაა: არ უნდათ მიაწოდონ მოსკოვის საქსოვ ქარხნებს საჭირო ბამბა და ამავე დროს ცთილობენ განთავისუფლდნენ რუსეთის პურისაგან.

რაც შეეხება კავკასიას და უკრაინას, წითელ იმპერიალიზმის ავან-პოსტებს, აქ მდგომარეობა უფრო რთულია. ამ ქვეყნების კულტურა უფრო დასავლეთურია, ვიდრე აღმოსავლეთური. მათი ახლობელი პოლიტიკური წარსული ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვს: 1918 წ. უკრაინამ, სომხეთმა, აზერბეიჯანმა, ჩრდილო კავკასიამ და საქართველომ გამოაცხადეს თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაიც იცნო ფაქტიურად თუ იურიდიულად ევროპის, ამერიკის და აზიის ბევრმა სახელმწიფომ და მათ შორის თვითონ მოსკოვის მთავრობამაც.

სულ მეტი იქნებოდა აქ იმის ჩამოთვლა, თუ როგორი მეთოდიური ბრძოლა აწარმოვეს კავკასიის და უკრაინის ერებმა, რათა გაეწმინდათ თავისი ტერიტორიები რუსის ჯარები-

---

*) ცნობილია, რომ საშუალოდ ერთი ცალი (კიპი) რუსული ნარმა უდრის 30 თოფს და შეიცავს 1700-1800 არშინს, წონით 6 ფუთს; ხოლო ჩითი ერთი ცალი აგრეთვე 30 თოფს და უდრის 1700-1800 არშინს, ხოლო იწონის საშუალოდ 6,5 ფუთს (საღებავია ზედ მისული). მაშასადამე საშუალოდ ერთი ცალი ნარმა და ჩითი იწონის 6,25 ფუთს და შეიცავს 1750 არშინს; ერთი ფუთი—280 არშინს.

საგან. ეს ბრძოლა არა ერთხელ იყო აღწერილი და წარმოდგენილი ნაციათა ლიგაში ხსენებულ რესპუბლიკების კანონიერ რწმუნებულების მიერ. საინტერესოა მხოლოდ აქ აღინიშნოს, რომ ამ ერებს შიგნით პარტიების მთლიანი ფრონტი აქვთ და შეკავშირებულნი არიან საერთო გარეშე მტრის წინაამდეგ.

სომხეთმა, ადერბეიჯანმა, ჩრდილო კავკასიამ და საქართველომ თავის წარმომადგენლების საშუალებით ევროპაში უკვე გამოაცხადეს, რომ ისინი აღიარებენ მთელი კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ერთობას და ცთილობენ, შეაკავშირონ ეს ოთხი რესპუბლიკა საბაჟო და სამხედრო საქმეებში, და თუ რამ უთანხმოებაა საზღვრების გამო, წარმომადგენლებმა ვალდებულება დასდვეს ურთიერთ შორის, რომ ამის გადასაჭრელად მიმართავენ სავალდებულო არბიტრაჟს. ამას გარდა, ადერბეიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს წარმომადგენლებმა მიიღეს კავკასიის რესპუბლიკებისათვის კონფედერაცია, რომლის მონაწილე იქნება სომხეთიც, როცა ამის სურვილს განაცხადებს.

თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საწარმოებლად კავკასიის და უკრაინის ერების წარმომადგენლებმა შეადგინეს საერთო ფრონტი, რომელიც გამოწვეულია მათი გეოგრაფიული მდგომარეობით და განმტკიცებულია საუკუნებრივ თანამშრომლობით, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ ძველი წესწყობილების დროს. ეროვნული გრძნობა და თავისუფლების დაბრუნების ნება ისე ღრმადაა კავკასიის და უკრაინის ერების შეგნებაში, რომ ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიებიც კი, რომლებიც ეყრდნობიან მოსკოვის ხიშტს, ვერ ბედავენ ძლიერ ხშირად საჯაროთ დაადასტურონ თავის ბრძანებლების აგრესიული პოლიტიკა. თუ მმართველ ჯგუფსა და ოპოზიციას შორის ბრძოლა სოციალურ დროშის ქვეშ სწარმოებს, არარუს კომუნისტებში ბრძოლა ხდება ნაციონალურ საკითხების გარშემო.

კავკასიის და უკრაინის რუსეთიდან გამოყოფის საკითხი აქტიური გახდა და ეს მოსვენებას არ აძლევს მოსკოველ დიქტატორებს. ეს არც უსაფუძვლოა. თუ წარმოვიდგენთ ერთ წუთს, რომ მოსკოვს დაეკარგება უკრაინის ხორბალი, ადერბეიჯანის და ჩრდილო კავკასიის ნაფთი და საქართველოს მარგანეცი, მაშინ უნებურად დაიბადება კითხვა, რითი უნდა შეინახოს მოსკოვმა ის ურიცხვი ორგანიზაცია, რომელთაც დავალებული აქვთ დღევანდელი წესწყობილების დარღვევა მთელ დედამიწაზე. ამას თან მოყვება ისიც, რომ არა თუ შეწყდება პროპაგანდა უცხოეთში, არამედ დაემხობა ბოლშევიკების დიქტატურა თვითონ ს. ს. რ. კ-ში. ბოლშევიკური საფრთხე არც იქნებოდა დიდი ხანია, რომ საჭირო დროს სახელმწიფოებს მხარი დაეჭირათ უკრაინის და კავკასიის რესპუბლიკებისთვის, როცა ისინი გამოეყვენ მოსკოვს და თვითონ იყვნენ თავის სიმდიდრის პატრონები.

კავკასიის და უკრაინის ერების წარმომადგენლებმა არა ერთხელ გამოაცხადეს პროტესტი და აღშფოთება იმის გამო, რომ მოსკოველები ყიდიან და ჰფლანგავენ მათ ეროვნულ სიმდიდრეს. მათ არ შეუძლიათ დაკმაყოფილდენ იმ საზოგადო წესით, რომელიც მიღებულია უცხოელ მთავრობათა მიერ—არ შეეკრან თვითონ ხელშეკრულობით საბჭოებს და იმავე დროს სრული თავისუფლება მისცენ თავის მოქალაქეებს, საკუთარ რისკით აწარმოონ საქმეები მოსკოვთან. ეს საქმის კაცები, უმთავრესად სპეკულიანტები ბოლშევიკებზე არანაკლებ ზიანს აყენებენ კავკასიის და უკრაინის ერებს, რადგან ხელს უწყობენ და ამაგრებენ მოსკოვის ბატონობას მათ (ამ ერების) ტერიტორიებზე.

ამრიგად ვისაც აინტერესებს ბოლშევიკური ანარქიის ჩქარი ლიკვიდაცია, იმან კარგად უნდა იცოდეს ის გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომელსაც ეწევიან კავკასიის და უკრაინის ერები. ამ ქვეყნების განთავისუფლება არამც თუ წაართმევდა მოსკოველ დიქტატორებს მთავარ სახსარს მათი გამანადგურებელი მუშაობისათვის, არამედ წინ გადაშლიდა სხვა დიდ პერსპექტივებს. კავკასია და უკრაინა თავის ულეველ მადნეულობისა და სასოფლო მეურნეობის სიმდიდრით ფართო მონაწილეობას მიიღებდენ მსოფლიო აღებ-მიცემობაში და იმავე დროს გახსნიდენ სატრანზიტო გზას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ეს მნიშვნელოვანი გარემოება უნდა იქნეს აღნიშნული. ვიდრე მოსკოვი იქნება ბატონი კავკასიასა და უკრაინაში, ის მუდამ საშიში იქნება ქვეყნიერების მშვიდობიანობისათვის—მცირე აზიასა, ცენტრალურ აზიმსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ საფრთხის გასაგებად საკმარისია დაუკვირდეთ, რანაირი დამოკიდებულება აქვს მოსკოვს მეზობელ სახელმწიფოებთან.

ყურადღების ღირსი არაა ის მოსაზრება, თითქოს კავკასიის და უკრაინის ჩამოშორებით რუსის ერს ეკარგებოდეს საშუალება სახელმწიფოს შექმნისა. ერთი ერი არასოდეს არ უნდა შეეწიროს მეორეს. მაგრამ რუსის ხალხს გასაჭირი არა აქვს რა. რუსის ერს დედამიწის მეექვსედი უკავია, ხოლო დასახლებული ადგილების ჩამოშორებით, მის ხელთ დარჩება კიდევ ერთი მეშვიდედი. და თუ კარგს მეზობლობას დაიჭერს კავკასიასა და უკრაინასთან, რუსეთს ექნება სრული შეძლება ამ ქვეყნებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლისა.

სახიფათო იქნებოდა ერთგვირად, რომ ნაციათა ლიგის ეპოქაში, რომლის არსებობის საფუძველია თავისუფლება და სუვერენობა ყველა-ერისა—დიდისა და პატარასი, კავკასიის და უკრაინის ერები (50 მილ. სული), მდიდარი ისტორიული წარსულით და რუსულ კულტურისაგან სრულიად განსხვავებული კულტურით, დარჩნენ საერთაშორისო რჯახის გარეთ. ეს ერები ასეთ გარემოებას ვერ შეურიგდებოდენ. იმათ ეჭვი არა აქვთ, რომ ყველა თავისუფალ ერის თანაგრძნობა მათ მხარეზეა.

ნაციათა ლიგა და კავკასიის და უკრაინის ერები.

პირველი საერთაშორისო ტრიბუნალი, რომლისკენ მიპყრობილია კავკასელების და უკრაინელების ყურადღება, არის რასაკვირველია ნაციათა ლიგა, რომელშიაც მონაწილეობენ რუსეთს ეხლახან ჩამოშორებული ერებიც. ეს პირველად არაა, რომ კავკასიის და უკრაინის ერები მიმართავენ ნაციათა ლიგას. როცა ისინი სუვერენები იყვნენ თავის ისტორიულ საზღვრებში, დასმული იყო საკითხი მათი მიღებისა ლიგაში, ხოლო საქმე დაბრკოლა წითელ ჯარების ბარბაროსულმა თავდასხმამ. ყველას ახსოვს დებატები, რომლებიც გაიმართა ლიგის საერთო კრებებზე და კომისიებში 1922 და 1924 წლ. და აგრეთვე რეზოლიუცია, რომლითაც კრებამ დაავალა საბჭოს «თვალყური ადევნოს საქმეთა მიმდინარეობას საქართველოში და გამოიყენოს ხელსაყრელი შემთხვევა და მშვიდობიანობისა და საერთაშორისო უფლებასთან შეთანხმებული საშუალებებით დაეხმაროს ამ ქვეყანას დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას».

ნორმალურ მდგომარეობის დაბრუნება კავკასიისა და უკრაინის ერებისათვის შეუძლებელია, ვიდრე მოსკოვი განაგრძობს მათი მიწა-წყლის ოკუპაციას თავის ჯარებით.

ნაციათა ლიგას, რომელიც მოწოდებულია მშვიდობიანობის დასამყარებლად არა მარტო მის წევრ—სახელმწიფოთა შორის, არამედ იმათშიაც, რომელნიც არ არიან წევრნი,—აქვს ბევრი მშვიდობიანი საშუალება, აღმოუჩინოს ზნეობრივი დახმარება კავკასიის და უკრაინის ერებს. მართალია, მოსკოვი არ სცნობს სრულებით საერთაშორისო მორალს, რომელსაც «ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნოებას» უწოდებს. მაგრამ ის მაინც იძულებულია ანგარიში გაუწიოს «ბურჟუაზიულ» ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს.

ნაციათა ლიგამ რომ მოუწოდოს საბჭოთა მთავრობას, ნამდვილად განახორციელოს ერთა თვითგამორკვევა, რომელიც მას ქაღალდზე უწერია, ეს იქნებოდა ერთი საშუალებათაგანი, რომელიც დაეკმაყოფილებდა გონიერებას და ლიგის წესდებასაც.

უცხოეთის მიმოხილვა.

კანონის გარეთ.

ტროცკი და ზინოვიევი გააძევეს კომპარტიიდან და მით კანონის გარეთ დააყენეს ისინი. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ განრიცხულნი გათანასწორებული არიან «კავშირის» დანარჩენ და უთვალავ ქვეშევრდომებთან, რომელთაც ათი წელია დაჰკარგეს მოქალაქის და ადამიანის უფლება, წარმოადგენენ უბრალო ობიექტს კრემლის მედროვეთა სათრეველათ, საწამებლათ. ტყუილა კი არ მოჰყვა ამ აქტს განუწყვეტელი ხმები ევროპაში, ვითომ ტროცკი მოჰკლეს, დაატუსაღეს, გადაასახლეს, რასაც «ტას»-ი დიდის სისწრაფით უარყოფს, და მაინც მეორე დღეს იგივე ხმები დაქინებით თავსდება პრესაში. და განა ლოღიკაში არ არიან ისინი. ვინც ამ ხმებს ავრცელებს? განა სხვაფრივ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა უბრალო მომაკვდავის ხვედრი, როცა ის ამასთანავე ურჩობს და ბალიაღას არ ეძახის განრისხებულ ღმერთებს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხმები გამართლდება ამა თუ იმ სახით, თუ... მანამდის ოპოზიცია პოსიციად არ იქცა და არ გათოკა ისინი, ვინც ტახტზედ სხედან! ჯერ-ჯერობით ერთი მაინც მართალი უნდა იყოს, რომ სტალინის იანიჩარებმა ორივე ყოფილი «დიდებულნი» კრემლის დარბაზებიდან გამოდენეს ბარგი-ბარხანით, საბან-ბალიშ ზურგზედ აკიდებულნი.

სტალინი, უნდა ითქვას, არც ისე რეგვენი გამოდგა, მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასაც, მას ტარტარენ ტარასკონელიც კი წაუკითხავს, როგორც ეს მან ამხილა უცხოელ სტუმრებს, და, მაშასადამე, ალპებიდან გადმომდგარი უკეთ ხედავს თავის ხვედრსაც. ჯერ კომინტერნის ეგზეკუტივიდან, შემდეგ კომპარტიის ცეკიდან, დაბოლოს თვით პარტიიდან—აი როგორის თანდათანობით, ერთი საფეხურიდან მეორეზე ახტუნებენ გუშინდელ მძლეთა მძლეთ სოსო და სერგო, ეს ჩვენი «მამულიშვილნი»! როცა ძლიერი მტერთან გაქვს საქმე, საჭიროა მეტი ხრიკი, თორემ ერთბაშათ რომ დაეძგერო, ვინ იცის, იქნება ვერ წააქციო, იქნება აქეთ წაგაქციოს. ვერ გამოიჩინა ტროცკიმაც მისი თანამოდგმის დიზრაელის ჭკუა. ის ეხლა, ვიცით, ულვაშს იკვნეტს სიბრაზისაგან, რომ ვერ მოახტა მოპირდაპირეს ქეჩოზედ კიდევ მაშინ, როცა სათავეში უდგა წითელ ჯარს და მეტი შანსები ჰქონდა გამარჯვებისთვის.

მაგრამ მაშინ ერთი მოპირდაპირე როდი ჰყავდა მას, გახსოვთ უმშვენიერესი ტრიო: ზინოვიევ-კამენევ-სტალინი; როგორც ხედავთ, უკანასკნელი მართლაც უკანასკნელად იხსენიებოდა მაშინ «საერთაშორისო კონცერტში»! დღეს კი სხვაა. ზინოვიევი, კამ[illegible], ამას დაურთეთ პარიზის სალონებში ენაწყლიანი რაკოვსკ[illegible] და ვინ იცის კიდევ რამდენი ჯიელი ლენინისა მოსწყდა ცას, ვითა ვარსკვლავი და ჩაესვენა... არა წითელ მოედნის მოვზოლეში, რა თქმა უნდა. ჯერ ისინი ცოცხლები არიან, არ აურთმევიათ პარტბილეთი, უცდიან თრთოლით და მოკრძალებით დეკემბრის ყრილობას.

ასეა საქმე. საეკლესიო ტერმინით პარტბილეთის ართმევას აღკვეთას ეძახიან. და მართლაც, ქურუმნი აიშალნენ ახალ დოგმატის—ლენინიზმის უკეთ გაგების ნიადაგზედ. ტროცკიმ და ზინოვიევმა ლენინის ჭეშმარიტ მოციქულად გამოაცხადეს თავი, ხოლო სტალინი უჭეშმარიტეს მოციქულად თვლის თავის თავს. ვინაა მართალი მათ შორის? ჩვენ ვფიქრობთ, უკანასკნელი, არ ვმალავთ, რომ მიკერძებას ვიჩენთ «თანამემამულესადმი»! სწორეთ მას წამოსცდენია ერთ კერძო მუსაიფში, ორი წელია მას აქეთ: «დურაკი ხომ არა ვარ რუსეთში სოციალიზმის განხორციელება ვიწამო»! ასე ფიქრობდა მისი მოძღვარიც, ლენინი, რომლის პრაქტიკული ფილოსოფია ძველი ცინიკებიდან მომდინარეობდა. სახელით სოციალიზმი, ხოლო საქმით გაშიშვლებული დიქტატურა გეპეუთი, ნეპმანებით, კულაკებით. ტროცკი და ამხანაგები ღვთაებრივი რისხვით არიან გაფითრებული ლენინიზმის ასე გადამახინჯების გამო და ლამობენ ისტორიის ჩარხის უკან მოტრიალებას. ამბობენ, მათ მიმდევარი ბევრი ჰყავთო. შეიძლება. ჯერ კიდევ არ გამოსულა რუსის ხალხი რევოლიუციურ ფრაზეოლოგიის ბურუსიდან.

გატყდა, ამ რიგათ, «მონოლიტური» ჭურჭელი, რომლიდან ერთათ მიირთმევდენ დიდი ქურუმნი სტალინიც და ტროცკიც, მათი ძმა-ბიჭებით, ლენინის ნაბან «წმინდა» წყალს. იყო ერთი პარტია, არის ორი, მოელიან გასამებასაც, რადგან ღმერთი სამებითაა, როგორც იტყვიან. მართველი ჯგუფიც გაბზარულია: ერთნი ოპოზიციის პლათფორმას ითვისებენ, უოპოზიციოთ; მეორენი ნიღაბს იხდიან და სოციალიზმი კაპიტალისტური წესითა და მეთოდით სურთ განახორციელონ. არ არის დავა მხოლოდ პოლიტიკურ სფეროში: სტალინს, ტროცკის, კალინინს, სამნივეს სურთ განაგრძონ ჯირითი ხალხის ზურგზედ და ამას ისინი «პროლეტარიატის დიქტატურას» ეძახიან. გაუტკბათ, კარგია კეთილი ცხოვრება. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ბოლო, და აი იოფეს ტყვიაც ამის სიგნალია.

ბალტიკა.

ჩვენ შეგვეძლო, ვაპირებდით კიდეც, ერთა ლიგასთან დაკავშირებით, ცალკე შევხებოდით მოსკოვის მოულოდნელ მიმართვას ყენევისადმი—განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობას მივიღებო. აღსანიშნავია, მოსკოვმა არ დაუცადა მოწვევის უწყებასაც ყენევიდან და უპასუხა კიდევ 1925 წ. გაგზავნილ უწყებაზე! რატომ ასეთი სიჩქარე? რიკოვმა გაუმეღავნა უცხოელ მოღიტინე დელეგატებს: მივეჩქარებით იმიტომ, რომ ნიღაბი ავხადოთ იმპერიალისტებსო!

თვითონ კი მართლა აიხადა ნიღაბი... ბალტიკაში. ჩვენ ვამბობთ იმ სავაჭრო ხელშეკრულებაზე, რომელიც ხიფათს უმზადებს ლატვიის რესპუბლიკას მის მადიან დიდ მეზობლისგან. ხელშეკრულებას ეძახიან «სავაჭროს», ხოლო სინამდვილეში ლატვიის მრეწველობა-ვაჭრობა შედის რუსეთის ვნეშტორგის სფეროში, და უკანასკნელის აგენტები თავისუფლათ ინავარდებენ პატარა რესპუბლიკაში. ჩვენ გვესმის რიგის გაჭირი, რუსეთისგან გამოცალკევების შემდეგ, მაგრამ ეს დროებითი იყო და მისი წამალი სხვაგან უნდა ეძებათ. თითქოს გამონახეს კიდეც, როცა ესტონიასთან საბაჟო კავშირის ხელშეკრულება დასდეს, რომელიც ტეხნიკურ დაბრკოლებათა გაფანტვას უცდიდა მხოლოდ ძალაში შესვლისათვის. ღღეს კი დამოკიდებულება ისე წახდა ორთავე რესპუბლიკას შორის, რომ შიშობენ პოლიტიკურათ ჭიდილათ არ დაშორდენ ისინი ერთმანეთს. იმის მაგიერ, რომ ბალტიკის სამი რესპუბლიკა: ლატვია, ესტონია, ლიტვა შეეკრან ერთმანეთს საბაჟოდ და საზოგადოთ კონფედერატულ კავშირით, და ასე გამაგრებულნი, შეუთანხმდნენ თავდაცვის კითხვებში ფინლანდიასა და პოლონეთს.—ისინი, სამწუხაროთ, ერთმანეთს ეცილებიან, აბა ვინ ჩაიგდებს ხელში რუსეთის ტრანზიტს დასავლეთითო. სწორეთ ამ სპეციფიურ, მათვის უეჭველათ საინტერესო კითხვაშიც, ისინი მოიგებდენ გაცილებით მეტს, ერთათ და სათითაოთ, ჩიჩერინისათვის რომ არ მიეცათ საშუალება ისარგებლოს მათი ურთიერთ ქიშპობით.

შემჩნეულია, ერები ხშირათ არ უწევენ ანგარიშს სხვის მაგალითს, თორემ მარტო კავკასიის ახლო წარსული არ უნდა დავიწყნოდათ ბალტიის რესპუბლიკებს. სანამ რუსეთი სუსტია, ბოლშევიზმის წყალობით კიდევ ასახსნელია ასეთი სიბეცე პოლიტიკაში; მაგრამ, როცა რუსეთი ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, მათი მდგომარეობა საბედისწერო გახდება, თუ მანამდის არ გაერთდნენ ერთ კონფედერაციაში.

ყოველ შემთხვევაში, დღეს უკვე ძლიერია მიდრეკილება აქეთკენ. ჯერ თვით ლატვიაშიც ბევრი ხალხი ძალიან უკმაყოფილოა ბაუერის ყაიდის სოციალისტ ცელენსის მინდობით ფლიდ ჩიჩერინისადმი...

მვ. გეგეჭკორის შვილის გარდაცვალება.

ამ თვის 20 საქართველოს მთავრობის წევრს ევ. გეგეჭკორს ეწვია მძიმე უბედურება: გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით მისი ერთად-ერთი ვაჟი სოსიკო, თექვსმეტი წლისა. ბავში მეტად ნიჭიერი იყო, საუცხოოდ სწავლობდა და ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა ლიცეიში. ბოლო დროს სისუსტისა გამო სასწავლებელში ვერ დადიოდა, მაგრამ ყველა ფიქრობდა, რომ მალე გამომთელდებოდა და კატასტროფას არავინ მოელოდა.

დარწმუნებული ვართ, რომ ევ. გეგეჭკორის ოჯახის უბედურება გულწრფელ მწუხარებას გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში.

«დამ. საქართველოს» რედაქცია თავის უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს უზომოდ დამწუხრებულ მშობლებს და უსურვებს მათ სიმხნევეს იმ მძიმე განსაცდელის გადასატანად, რომელიც მოულოდნელად დაატყდათ თავზე.

წერილი სპარსეთიდან.

(საკუთარ კორესპონდ.)

7 ოქტომბერს ქ. ფაჰალავში გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც ბევრი ტკბილი სიტყვა იქნა წარმოთქმული იმის დასამტკიცებლათ, რომ დღეიდან ბოლშევიკები სპარსელების დიდი მეგობრები არიან, და კონსულის თხოვნით მუსიკამ ინტერნაციონალი დაუკრა. თანახმათ ხელშეკრულებისა, სპარსეთმა მიიღო—ნავთსადგური, სათევზაო ადგილები და თავისუფლათ საქონლის გატანის უფლება.

საბჭოთა მთავრობის ასეთი თავის დამცირება ისეთი სახელმწიფოს წინაშე, როგორიც სპარსეთია, ჩვენის აზრით იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ ამ პლანეტაზე თავშესაფარი ადგილი მათ არსად არა აქვთ და ამიტომ სურთ გაქცევის დროს სპარსელები მაინც ყავდეთ მეგობრათ.

იმავე ოქტომბრის ათში აქაური ბოლშევიკების კლუბში გაიმართა საღამო, სადაც მიწვეული იყვნენ ვაჭრები და მოხელეები, კარზე ორი აქანი იდგა და არ უშვებდნენ პროლეტარებს, არცერთი მშიერი სპარსელი იქ არ გვინახავს, აქაც ბევრი სიტყვები იქნა წარმოთქმული. სპარსელი ბურჟუები ამბობენ—ჩვენ სრულიად არ გვეშინიან კომუნისტებისა, რადგან უკვე კარგათ ვიცით, რომ მაგენი ქურდები და მკვლელები არიანო.

ბოლშევიკებმა თავისი ხელობა აქეთაც გადმოიტანეს, ასაკში შესული ქალ-ვაჟები ერთათ შეყარეს სასწავლებლების კედლებში, სადაც ბლომათ იქნა გამრავლებული «პიონერები» და «ოკტომბრიანკები», მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ამ არაჩვეულებრივ მოვლენას ყურადღება მიაქცია სპარსეთის მთავრობამ და აღუკრძალა ორივე სქესის ერთათ სწავლება. სამღთო სჯულის მაგივრათ ასწავლიდნენ უსჯულობას, ესეც მათ აღუკრძალეს.

თანახმათ ხელშეკრულებისა, ბოლშევიკების ნაღმოსანი «ტროცკი», რომელიც აქაურ პორტში იდგა, უკვე წავიდა.

საკონსულოში და სხვა ბოლშევიკების დაწესებულებებში აქანები ჩააყენეს, დღემდის კი მატროსები იცავდენ.

მგრისელი.

ქართველები ხარბინში.

შესდგა ქართველთა საზოგადოების კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად. გამგეობის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობამ შესძლო სამი ათასი მან. ვალის გადახდა და გაიჩინა მტკიცე და სამუდამო წყარო შემოსავლისა.

ზოგიერთმა დამსწრემ გამგეობას უსაყვედურა, რომ იგი დიდს ყურადღებას აქცევდა ქონებრივ მხარეს და არ ზრუნავდა წევრების ეროვნულ—გონებრივ საჭიროებაზე—როგორიცაა გამართვა სკოლის, მოწყობა ლექციების და საღამოების სამშობლოს ისტორიის და დღევანდელი მდგომარეობის გასაცნობად და სხ.

გამგეობამ ამაზე უპასუხა, რომ ამის გაკეთება არ შეეძლო, როცა მძიმე ვალით იყო დატვირთული, ხოლო ამიერიდან შეუდგება აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილებას.

დასასრულ დახურული კენჭის ყრით მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. არჩეულ იქნენ ძველი წევრები: გამგეობაში—ი. ხაინდრავა (თავმ.), ნ. ხოშტარია (თავ. ამხ.), ნ. შადური (მდივ.), გ. ბარამიძე (ხაზინ.) და შ. ქაჯაია; სარევიზიო კომისიაში—ლ. ფიჩხაია (თავ.), ლ. ხავთასი და ა. შოთაძე.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise* Le Gérant : LARGILIÈRE.